№ 241
სამშაბათი, 7 ნოემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 241
სამშაბათი, 7 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 16 გვერდია

„ივერია“
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА.“

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრებული

არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.
მოსამზადებელი კურსი
შედგენილი
რ. ჯაჯანაშვილის მიერ
გამოცემა მესამე,
შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.
ფასი ხუთი შაური.
10—3

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობამ განიზრახა-რა ჰბეჭდოს პატარა ისტორიული წიგნაკები, უმორჩილესად სთხოვს საქართველოს ისტორიის მცოდნე პირთ დაეხმარონ ამხანაგობას და მოაწოდონ დასასტამბად მარტივის ენით დაწერილი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდგან.

სასურველია ყოველი ეპიზოდი არ აღემატებოდეს ორ თაბახს, ე. ი. 64 გვერდს (ფორმატი $8^1/_2 \times 6$ კვადრ.).

მოწონებულსა და დაბეჭდილს ყოველს თაბახში (32 გვ.) ავტორთ მიეცემა 30 მან.

ამხანაგობა ეცდება ყოველ წიგნაკს დაურთოს გმირთა სურათები, თუ-კი მოიპოვება სადმე გადასაღებად.

ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი.
(5—3)

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, დანიშნულია სხდომა სათავად-აზნაურო კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ოძისში სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმე. სხდომამ უნდა განიხილოს სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და მოილაპარაკოს სკოლის დაარსებისათვის საჭირო საშუალებათა მოპოვების შესახებ.

ამ კომისიის თავმჯდომარედ არის თავ. ზაქ. ერისთავი, წევრნი: თავ. ივ. სულ. ჭავჭავაძე, დ. ი. მუსხელიშვილი, თავ. რევაზ ვაჩნაძე, თავ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილი, ილია ივ. წინამძღვრიშვილი და ალ. იოს. კობიაშვილი. დანიშნულს კრებაზე მოწვეულნი არიან: უგანათლებულესი თავ. პეტრე ბატონიშვილი, თავ. ილია ჭავჭავაძე, აგრონომი მ. პ. მორბედაძე და სხვანი.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისში ფოთიდგან მოსვლიათ დეპეშა, რომლითაც აცნობებენ, რომ გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრის არხივი სრულიად წყალს ჩაუნთქავს. ამას გარდა ჩვენი მწერალი ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი, ავტორი „ღამის მეხრე ცეცო“-სი, მდივანი აქაურის ეპისკოპოსისა არ იციან სად არის—წყალის მოდიდების შემდეგ ის არავის უნახავს.

*** როგორც გავიგეთ, სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასის ექსპერტს ბ-ნ სტარასელსკის წარუდგენია თხოვნა რათა მისდამი რწმუნებულს ნაწილში ზამთრობითაც მუშაობდნენ ცხრა უფროსი ფილოქსერის გამომკვლევნი. მათი მოვალეობა იქნება: იარონ და შეისწავლონ ის ადგილები, სადაც დასს ზაფხულში მოუხდება მუშაობა, თვალი ადევნონ იმ ადგილებს, სადაც ფილოქსერა აღმოაჩინეს, რომ მემამულემ აღნიშნულ დრომდე არ გააშენოს ამ ადგილას ვაზი. თვალი ადევნონ, რომ ფილოქსერიან ადგილებიდგან რქა არ გაიტანონ და არც სხვა ფილოქსერიან ადგილებიდგან შემოიტანონ რქა ამავე აზრით.

*** ჩვენ მივიღეთ წიგნი: „მასალა კავკასიის გეოლოგიისათვის“ მეორე სერია, წიგნი მეცხრე. ორი ქარტათი და სამი ტაბლიცით გეოლოგიურ განაწილებისა. გამოცემა კავკასიის სამთო მმართველობისა. ამ წიგნში შემდეგი გამოკვლევანია მოთავსებული: „გეოლოგიური გამოკვლევანი იორსა და ალაზანს შუა მინდვრები“ თ. გაბრიელოვისა და ს. სიმონოვიჩისა; „კარაჩოს ვერცხლისა და ტყვის მადნის ადგილები კუბის ოლქში“, გარდაცვალებულ ნ. ბარბოტ-დე-მარნისა და „ანგარიში მინერალურ სიმდიდრეთა და გეოლოგიური მდებარეობა დაღესტნისა“ მისივე.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ას სწერენ, რომ ერთი კვირის შემდეგ სამგზავრო მატარებელი დაიწყებს მისვლა-მოსვლასო, ხოლო ზოგიერთს ადგილას სადაც ჯერ გზა არ არის შეკეთებული მგზავრები ეტლებით ან ფეხით გაივლიან.

*** კვირას, 3 ნოემბერს, სომეხთა საკრებულო ტაძარში (ვანქში) წირვის შემდეგ საქართველოს სომეხთა ეპისკოპოსის სურენიანისა და მრავალ სამღვდელოების თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იმ სომეხთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც ამოწყდნენ ამბოხების დროს სტამბოლსა, ტრაპიზონსა და

## ფელეტონი

### „გადაგვარება ოჯახისა“.

გადაგვარების მოსურნე—
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!..
აკაკი.

დასასრული *)

— კაცო, იმათ გავლენას-კი არაფრათა სთვლი, ვინც ამ 15 წლის განმავლობაში გარს გეხვივნენ?

— ძალიან კარგი, მაგრამ, განა ჩვენსავე თავს ჩვენვე არა ვყავდით გვერდით? ორი ადამიანის ძალა განა ძალად არ ჩაითვლება ამ საქმეში? განსაკუთრებით მაშინ, როცა განუშორებლივ ერთმანეთთან არიან და ნამასთაავე წმიდა მოვალეობა ასულდგმულებს?!.

— მაინც ხომ ძალას ატანდით თქვენს თავს ამ მოვალეობის შესასრულებლად?..

— არც მე და არც ჩემ ცოლს არ დაგვჭირვებია თავის ძალ-დატანება. ეს ისეთი მოვალეობაა, რომ იგი ესისხლ-ხორცება კაცის არსებას, თვით ხდება ხელმძღვანელი და თითონ უჩვენებს გზას ისე, რომ არც-კი აგრძნობინებს თავისს ზედ-გავლენას.

— მაშ შენმა შვილებმა ქართული კარგად იციან! ჰკითხა ირონიულის ღიმილით მიხეილმა; ეს ღიმილიც შეჩვენებული იყო, მხოლოდ აქ ირონიას რა ადგილი ჰქონდა—რომ გეკითხნათ—თითოს სალარიძეც ვეაგიხსნიდათ.

— როგორ, კარგად? მე მგონი.. ჩვენში ბევრი არ მოიძებნება კარგი მცოდნე ქართულისა. იციან იმ ზომამდე, რომ თავისუფლად შეუძლიანთ თავისი აზრის გამოთქმა..

— მერე, ბევრი დრო დაგჭირდა ამისათვის?

— საკუთრივ მე—ძალიან ცოტა... სწორედ იმდენი, რაც საჭიროა, როცა ოჯახის წევრნი ერთმანეთს შეხვდებიან სალაპარაკოდ... რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევაში ჩვენ სულ მშობლიურ ენაზედ ვლაპარაკობდით.. მხოლოდ ჩემს ცოლს, რომელიც ერთად-ერთი აღმზრდელია ჩემი შვილების ეროვნულ სახებისა, პირველ დაწყებითი აღზრდაში დასჭირდა საკმაო შრომა... ამასთანავე სახლში ბალღებს მუდმივად ქართული ლაპარაკი ესმოდათ; როცა აზროვნებაში მოვიდნენ—დედამ ქართულის სწავლება დააწყებინა და შემდეგ-კი თვით მიეჩვივნენ კითხვას... ჯერ კიდევ ასოების გარჩევა არ იცოდნენ, მაგრამ ზეპირ-სიტყვებითი გადაცემულით პატარებმა ზღაპრულად შეისწავლეს ჩვენის ისტორიის საუკეთესო გმირთა მოღვაწეობა. შემდეგ, როცა ისტორიის სწავლება დაიწყეს—მათთვის უკვე ადვილი იყო ამ საგნის შეგნება.

ასე და ამ რიგად საძირკველი ჩაიყარა, მერე-კი, ღვთის მადლით დიდი შრომა არ დაგვჭირდა, თითონ ბალღები ეტანებოდნენ საიმათო წიგნებს და ჩვენც, რასაკვირველია, შეძლებისა დაგვარად, არ ვაკლებდით სულიერ საზრდოს ბავშვისათვის შე[illegible] რომ ბავშვთათვის საკითხავი წიგნები ჩვენში სულ ცოტაა, მე და ჩემმა ცოლმა ვიტვირთეთ ამ ნაკლის შევსება და რამდენიმე ბროშურა გადავთარგმნეთ; იმ თარგმანს ვუკითხავდით...

— მერე სასწავლებელი? იმან ვერ იქონია გავლენა?

— ვერა... მართალია მოსწავლეს ცოტა დრო აქვს თავისუფალი ახლანდელ სისტემის წყალობით, მაგრამ საკითხავად დღეში ერთ საათს მაინც მოიპოვებს და აი, სწორედ ეს დრო ქართულის ლიტერატურისათვის იყო გადადებული!.. თავ მომწონედ ვიტყვი, რომ ბავშვებისათვის ძალა არ დაგვიტანებია, გინდა თუ არა ქართული იკითხეო. თავდაპირველადვე გაღვიძებული ეროვნული თვით-ცნობიერება უკაფავდა მათ გზას ამ საგნისაკენ. ვერ წარმოიდგენ, მიხეილ, რა ნაირის აღტაცებით დაავლებდა ხოლმე ხელს ჩემი ირაკლი გაზეთს, ანუ ჟურნალს, საქართველოდგან ახლად მოსულს, სწორედ ისე, როგორც პატარა ბავშვი ახალ ტანისამოსს შეეგებება ხოლმე, უნდა რომ სულ თანა ჰქონდეს!.. და აი სწორედ ამით აიხსნება, რომ სხვა ერთა ლიტერატურა, შედარებით, ნაკლებად იციან... და ასეც მგონია, რომ ზარალში არ არიან, რადგანაც მომავალი მათია და კიდევ მოასწრებენ სხვა ერთა სიტყვიერების შესწავლას, რასაკვირველია თუ ცოდნის-მოყვარეობის გრძნობა არ დაუჩლუნგდათ...

ვანომ ლაპარაკი შესწყვიტა. კვლავ სიჩუმე გამეფდა. ხელახლად დაიბადა ის მოუხერხებელი და აუტანელი წამი, რომელიც ვანოს მოთხრობამ განფანტა. ონორიძე მორჩა თავისს თავგადასავალს. ახლა რიგი სალარიძეზე მიდგა, მაგრამ ვერა ბედავდა დაწყებას... ვანო ჰგრძნობდა მეგობრის მდგომარეობას და ეს გარემოება მასაც სულს უხუთავდა, თუმცა, ამასთანავე, როგორც ცნობის მოყვარე კაცს, უნდოდა თვით მიხაკოს პირით მოესმინა მისი შვილების აღზრდა-განვითარების საქმე.

სალარიძე-კი იმ კაცის სახით იჯდა, რომელსაც რიღაცის თქმა უნდა' მაგრამ ვერ მოუხერხებია, მისცემია ფიქრს, მხოლოდ არეული გონება ბობოქრობს აჯანყებულ ზრზოსავით, რათა და რისთვის—ეს ღმერთმა უწყის!..

კარგა ხანი იყო მიხეილი ასე თავდაბჯენილ დაპოწკინტებულს მკლავზედ და უაზროდ გაჰყურებდა ლამპრის იდუმალად მოპარპალე შუქს, რომელიც თითქოს რაღაცას ჩურჩულებსო. ბოლოს ასწია თავი, გულსაკლავად გაიღიმა და ამასთანავე სახეზედ ერთმა ცრემლმა ჩამოურბინა, გაიარა თვალიდგან ულვაშებამდე ცხვირის სისწვრივ დაქნილ ღარში და იქვე ბეწვში მიიმალა, თითქოს რცხვენის და მეგობრის თვალს ეკრძალებაო. ის ადგილი-კი, რომელზედაც ცრემლმა ჩამოინაკადულა, მიხეილს ისე მოეწვა, ასე გონია გაცეცხლებულის შამფურით დაუდაღესო.

— ელი განა ჩემს აღსარებას, ვანო!—დაეკითხა იგი მეგობარს მწარედ. იმისი თვალები მთლად სევდით მოცული, ისე მეტყველობდნენ, რომ გეგონებოდათ—ეხვეწიან ვისმე—ნუ დაგვსჯიაო. განა მიხვედრილი არა ხარ? გატყობ, რომ მიჰხვდი, მაგრამ მეთავაზები და არ ამხელ... მაშ გინდა' გაიგო რაღა, რამდენად გავამართლე ჩემი ვითომ-და გულ-წრფელი, მხურვალე მამულიშვილობა, რა გვარი შთამომავლობა აღუზარდე ჩემს განწირულს სამშობლოს!?. ოჰ, რომ იცოდე რა ნაირად მძაგს ამ ჟამად ჩემი თავი ამ პრტყელ-პატყელ სიტყვებს რომ ვაქუხებ!.. აქ მიხეილმა ზიზღით გადააფურთხა.—იცოდე, ვანო, რომ მე უბედური მამა ვარ—განაგრძო ისევ მიხეილმა, როცა აღელვება ცოტათი მიუყუჩდა და გახშირებულ სუნთქვისაგან დაგუბებული სული მოითქვა—განა თუ იმით, რომ ჩემი შვილები უნიჭონი არიან, უზნეონი, მახინჯნი, არ ვუყვარვარ არა... არა... მე კიდეც ვირჩევდი—ერთ-ერთი ესე თვისება სჭირდეთ, ვიდრე ის სიმახინჯე, რომელსაც ყოველი ქართველი შეამჩნევს... მაგრამ შენ თითონ ჰნახე.. მე ნუ მალაპარაკებ, არ შემიძლიან... აგერ ზარის ხმა ისმის, ისინი იქმნებიან... მიხეილი გიჟივით წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო.

— დამშვიდდი, მეგობარო... შენ პირველი არა ხარ და უკანასკნელი... ანუგეშა ვანომ.

— მერე, განა მე ეგ მამართლებს?!

ვანომ ტუჩები გახსნა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაშინვე შესდგა, რადგანაც ამ დროს კარები გაიღო და ოთახში შემოცქრიალდა ერთი მშვენიერი—16—17 წლის ქალიშვილი, რომელიც პირდაპირ სალარიძისაკენ გამოექანა,

*) იხ. „ივერია“ № 239.

ოსმალეთის სხვა-და-სხვა პროვინციებში.

*** ამავე გაზეთს სვირის სადგურიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ქუთაისსა, რიონსა, ფოთსა და ბათუმს შუა ტელეგრაფი შეუკეთებიათ.

*** ოთხშაბათს, დრამატიულ საზოგადოების დასი წარმოადგენს პირველად შესანიშნავ თხზულებას გუცკოვისას „ურიელ აკოსტა“. უმთავრესს როლს ითამაშებს ვლ, ალექსი-მესხიშვილი. ამ პიესისთვის იკერება ახალი ტანისამოსა.

*** შუა ნოემბერს ყარსის „საზოგადო კრებულის“ დარბაზში სცენის მოყვარულთაგან გამართულ იქნება რუსულ-ქართული წარმოდგენა. შემოსავალი დანიშნულია ტფილისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. პროგრამმა წარმოდგენისა შემდეგია: რუსული: ვოდევილი ერთ-მოქმედებიანი „ავენირი და ზოია, — ცოლ-ქმარნი“ თხზულება ვ. ა. ბახაროვისა და ქართული: „ბიძიასთან გამოხ-ვმრ„იდნ თხზ. თ. რ. დ. ერისთავისა და „ბაიყუში“ თხზ. ცაგარლისა. (ყარსი).

*** ართვინის ოლქის შავშეთ-იმერხევის ხეობაში ხუთმეტი ჩარვადარი გაუძარცვავთ ამ წარსულს 13 ღვინობისთვეს. თუმცა მიღებულ ყოფილა ყოველივე ღონისძიება, მაგრამ ავაზაკნი ვერ უპოვნიათ. (ყერსი).

*** ბაქოში მოსულა ამბავი, რომ ჯარის-კაცნი, რომელნიც დარაჯად დგანან სპარსეთის სამზღვარზე და ეკუთვნიან არრუსის რაზმს, შეხვედრიან ხუთს ავაზაკს, მოდენილს სპარსეთიდამ, თოფის სროლა აუტეხიათ, ავაზაკნი გაქცეულან და შეჰხიზნებიან სპარსეთის სოფელს მარხანს. აქედამ სამას კაცამდე ხელხი შეთოფ-იარაღებული მოშველებიათ ავაზაკებს და მომხდარა თოფის სროლა. ამ ატეხილ ცეცხლისაგან რამდენსამე სახლს სოფელში ცეცხლი წაჰკიდებია. ხმა არის, ვითომ ოც-და-ათი სპარსელი მომკვდარა და დაჭრილა ამ სროლაში. (კასპი).

*** სოფელ ვაყიდამ (გორის მაზრა) იწერებიან, რომ წვიმისაგან მოვარდნილ წყალმა ბევრი ზარალი მოიტანა აქაურ ხალხსაო: ზოგს შენობა დაუნგრია და წაიღო, ზოგს ბაღი და ვენახი წაუხდინაო· დიდი ზარალი მოსვლია თურმე თ. ლუარსაბ ბეგთაბეგაშვილს, რომელსაც წყალმა ჩარხის წისქვილი წაართო! და წაიღოო და რუს სათავე მოუგლიჯაო. წისქვილი თურმე სამას თუმნად დასჯდომია პატრონს და ეხლა ხელ ცარიელი დარჩენილა. სამწუხარო ის არის, რომ ხე-ტყეს წყლისაგან დანგრეულ შენობებისა და წყლისგანვე წაღებულისას სხვა სოფლელები იჭერენ და იჩემებენო, პატრონებს აღარ უბრუნებენო. აქაური ბოქაული ხალხს ამისთანა თვით-ნებობას უშლის, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლის. და ამსახით ზარალზე ზარალს უმატებენ შველისა და შემწეობის სანაცვლოდ.

## წერილი აწყურიდგან

1893 წლის ბოლოს ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლებიდგან გადასახლდნენ ოსმალეთში რამდენიმე კომლი ქართველ-მაჰმადიანთა; ამ შემთხვევით ვისარგებლეთ ჩვენ და, რადგან ბორჯომის ხეობაში მიწის უქონლობისა გამო ვიყავით ფრიად შეწუხებულნი, ვიხმარეთ ყოველი ღონის-ძიება, გავყიდეთ რაც-კი გვებადა და 25-მა ქართველ მოსახლემ გავბედეთ შეხიზნვა სოფ. აწყურში და ტყემლანაში 400 კომლ ქართველ-მაშმადიანთა შორის; დავესახლეთ გარდასახლებულთა ადგილ-მამულებზედ, რომელნიც მათგან შევისყიდეთ და ამით, ცოტა არ იყოს, ჩავცვივდით ვალში. თანახმად ჩვენის თხოვნისა და ადგილობრივი საზოგადოების სურვილისა ტფილისის სახაზინო პალატამ მოახდინა შესაფერი განკარგულება და ჩვენც ჩარიცხულ ვიქმენით აწყურის და ტყემლანის მცხოვრებელთა შორის. სიშორისა გამო ჩვენგან მართლ-მადიდებელის მღვდლისა, რომელიც ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რათა დააკმაყოფილოს ხალხის სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი, მივმართეთ უმორჩილესის თხოვნით სადაც ჯერ იყო და უმაღლესის ბრძანებით 1 ივლისს, 1894 წელს, დამტკიცებულ იქმნა ახალი შტატი მომავალ აწყურის ღვთის-მშობლის მიძინების ტაძართან და სახელმწიფო ჯამაგირით (650 მანეთი). დაგვენიშნა საეკკლესიო კრებული, რომელიც შესდგება მღვდლისა და მედავითნესაგან. ასე, ამგვარად გაიხსნა პაწია სამრევლო იქ, სადაც ოდესმე ბრწყინავდა ნათელი ჭეშმარიტებისა, მძლავრობდა და კეთილ-დღეობდა მართლ-მადიდებელი ქართველთ ეკკლესია და სადაც მოღვაწეობდნენ ჩვენნი წინაპარნი.

მოგეხსენებათ, ის გარემოებაცა, რომელ „სამცხე-საათაბაგო“ ჟამთა ვითარებისა გამო დიდ ხანს იყო ოსმალეთის მფლობელობის ქვეშე და ისიც უწყით, რომ ისლამის მიმდევართ შეუბრალებლად გაანადგურეს ჩვენნი მრავალნი ციხე-სიმაგრენი, გაძარცვეს და დაანგრიეს მდიდარნი და ფრიად შესანიშნავნი ეკკლესიანი, ხოლო მცხოვრებელთა უმეტესი რიცხვი, ძალითა მახვილისათა გაამაჰმადიანეს; ამაზედ უარესი უბედურება სწვევია თურმე აწყურის მხოვრებთა: ესენი ისე შეუვიწროებია ოსმალთა ძალდატანებას, რომ, გარდა სარწმუნოების გმოცვლისა, ხალხს სრულებით დაუვიწყებია მამაპაპური ზნე-ჩვეულებანი და, სამწუხაროდ, დედა-ენაც — ქართული. გარშემო მდებარე სხვა სოფლებში ყველგან დაცულია წიგნი დედა-ენა, იქ პაწია ყმაწვილებიც კი მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს, ხოლო წყურში და ხერთვისში-კი, როგორცა დაბა და მრავალ მცხოვრებლებიან და გავლენიან ადგილებში, სრულიად ამოუფხვრიათ ქართული ენა და, თუ ზოგიერთა მოხუცებულებმა იციან ქართული, მაინც არ ლაპარაკობენ ამ საგანზედ, რადგან მოლლების შთაგონებით დიდი ცოდვაა, თურმე, როდესაც მუსულმანი ლაპარაკობს უსჯულოების ენაზედ. ამ მიზეზისა გამო აიხსნება ის გარემოებაცა, რომ მიწის ძვრისაგან შერყეული შესანიშნავი აწყურის ტაძარი ღვთის-მშობლის მიძინებისა სრულიად გაუცარცვიათ, უწყალოდ უმტვრევიათ მშვენიერი ძვირფასი ჩუქურთმიანი ქვები და ჯვრები, ხოლო მომეტებული ნაწილი მოუხმარებიათ თავიანთ შენობაებზედ; უზარ-მაზარი ძველი საკათედრო ტაძარი აწყურის ეპარქიისა — ეს დიდება ჩვენის წარსულის დროისა, ასეა დაცემული, რომ მისს აღდგენას რამდენიმე ასი ათასი მანეთი დასჭირდებოდა. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენის სიღარიბის გამო, არამც-თუ არ შეგვიძლია ხსენებული ტაძრის განახლება, არამედ ფრიად გვიმძიმს აღშენება სრულებით უბრალო სალოცავ-სახლისაც. ამისათვის საეპარქიო მთავრობის ნება-რთვით ჩვენ იძულებულნი ვართ მივმართოთ ყველა გულ-მტკივნეულ და ქველ-მოქმედ პირს უმორჩილესის თხოვნით, მოგვაწოდონ ხელი შეწევნისა, რათა დავაფუძნოთ სოფელ აწყურში სამრევლო ეკკლესია და სკოლა, რომელთა უქონლობა აქ ფრიად შესამჩნევია, ვინაიდგან აქაურ თათრებს და ებრაელთ აქვთ თითქმის ორ-ორი სალოცავი, ხოლო ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებასა აღვავლინოთ ხოლმე ღვთისადმი ლოცვა-ვედრება ტაძარში, აღვზარდოთ შვილნი ჩვენი სარწმუნოებრივ და ამითი ერთის მხრით დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილება და მეორეს მხრით ვუჩვენოთ ჩვენს მეზობლებს უპირატესობა მართლ მადიდებელ სარწმუნოებისა და ნელ-ნელა გავუღვიძოთ მათ სიყვარული თავის თვის-ტომობისა — ქართველობისა.

ამ ჩვენს შევიწროებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს და შესაფერი შემწეობა აღმოგვიჩინეს შემდეგ პირებმა: მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ მემკვიდრე ცესარევიჩმა დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, ბ.ბ. გუბერნატორებმა: ტფილისისა, განჯისა, რიაზანისა და სხვა პირთა, რომელთა შემოწირულებითა ჩვენ უკვე აღვაშენეთ ტაძარ-სკოლის კედლები, გან-

---

— Ах, милый папа! что за чудный вечеръ, а ты сидишь дома! Это восторгъ! მხოლოდ როცა ოთახში სხვა კაციც დაინახა — შეშინებულ შველსავით შესდგა, მამისაკენ გაშლილი ხელები ძირს ჩამოუშვა და თავის დაკვრით წარმოსთქვა:

— Ах! Pardon!

— ვანო, ჩემი ქალი — Кетя, мой другъ и пріятель — გააცნო მიხეილმა უგულოდ — თითქოს ვიღაცას ებუზღუნებაო; ამასთანავე ქალის დანახვაზედ ერთის წუთით გაბრწყინვებული სახე წინანდელსავით მოიღრუბლა. ქეთომ ონორიძეს მძიმე რევერანსით ხელი გაუწოდა, ვანომ გამომცდელი თვალი გადაავლო ქალსა და მეტად კმაყოფილი დარჩა მისის გარეგნობით. ქეთო მართლა რომ ლამაზი იყო.

ორს სხვა-და-სხვა ბუნებას, ერთად შეზავებულს, წარმოეშობა ისეთი ნაყოფი, რომლისათვისაც თვითოეულზედ დაენათლებინა თავისი ბეჭედი. პირველსავე შეხედვაზედ დარწმუნდებოდით, რომ ამ ნაყოფის შემქნელი ორივე ძალა თანასწორად ძლიერი ყოფილა, ერთი მეორეს ვერ დაუჩრდილავს და თანასწორივე ნიშნები მიუცია, ერთი და იმავე ზომის გავლენა ჰქონია, რის გამოც ეს ნაყოფი უფრო სრული და უნაკლულო დაბადებულა, რადგანაც ერთის ხინჯი მეორეს მადლს შეუვსია. მაგალითად ზევით წვერ აკრული ცხვირი დედისა — მამის გავლენას გაუშალაშინებია, რის გამოც ქალიშვილს სწორე და გამოსურმული ცხვირი დაჰყოლია; სამაგიეროდ მამის კუშტივით შავი თვალები, ცოტა არ იყოს, სიმკაცრის გამომხატველი, დედის ცისფერს თვალებს განუკრთია, გაუნაზებია და ამ პროცესის წყალობით ქეთოს თვალები წაბლის ფერი გამოსულა. ასე ითქმის თმისა და წარბ-წამწამის შესახებ; ხოლო ტანი მამისა შერჩენია — მაღალი წარმოსადეგი, სხეული-კი დედისა, სპეტაკი და ბუნჩულა.

— სასეირნოდ ბრძანდებოდით, ქალბატონო? ჰკითხა ქალს ვანომ ქართულად.

ქეთომ ნარნარად გაიღიმა და უპასუხა:

— მე თუმცა ქართულად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ ცოტა ოდნად-კი მესმის, მაგალითად „სასეირნოთ“ ჰნიშნავს „гулять“-ს არა? დიაღ, სასეირნოდ გახლდით...

— ხომ გესმის, ვანო! — აი, ეს არის ჩემი უბედურება!.. წარმოსთქვა ხმის კანკალით მიხეილმა, რომელიც კუთხეში მიჩქმალულიყო და იქიდგან თვალს გაფაციცებით ადევნებდა მეგობრის სახის მოძრაობას.

იმდენად ძლიერი იყო შთაბეჭდილება ქალიშვილის სიტყვებისა, რომ ვანომ თავი ვერ შეიკავა და სახე ამ შთაბეჭდილების დაგვარად აამოძრავა. ის სიბრალულით შეჰყურებდა ქეთოს და საცოდავი მამა-კი იმისს თვალებში, როგორც გადაშლილს წიგნში — შემდეგ სიტყვებს კითხულობდა:

„ოფსუს, რომ ეს ყვავილი ჩვენს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებული! მებაღევ, ეს არას დროს არ მოგეტევება“. ო!

— Папа, пайдемъ, чай готовъ! წამოიძახა ქეთომ, რომელსაც მოეხამუხა, რომ მამის სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

— წავიდეთ ვანო!.. იქ უფრო ბევრს რასმე ჰნახავ საგულისხმიეროს — ჩაილაპარაკა თავისათვის მიხეილმა რაღაც ნაირის გაავზნებით, თითქოს ამ სიტყვით უნდა ხორცი მოიჩქმიტოსო. ყველანი სასადილო ოთახისაკენ გაემართნენ.

ოთახში მათ დაჰხვდათ ერთი გიმნაზიელი, რომელიც წიგნსა კითხულობდა ჩაის მოლოდინში. რა წამსაც შეჰხედავდით — მაშინვე გარდასწყვეტდით, რომ ეს გიმნაზიელი მიხეილის შვილია იმ ზომამდე დიდი მზგავსება იყო ამ ადამიანთა შორის.

— Позвольте представить Вамъ мой братъ — მიუშვირა ქეთომ ხელი გიმნაზიელზედ Коля, другъ и пріятель папы.

— Весьма пріятно — იყო პასუხი და „კოლიამ“ და ვანომ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

— ახლა-კი ჩაის თავდარიგს შევუდგები — ჩაიჭიკჭიკა ქეთომ და მაგიდას დაუტრიალდა, რომელზედაც „სამოვარი“ და საჩაიე მოწყობილება ელაგა.

— დედა სად არის? — იკითხა მიხეილმა.

— ტანისამოსს იცვლის — უპასუხა „კოლიამ“, რომელიც საათის მოკლე ძეწკვს ათამაშებდა ხელში და თანაც დის ცქრიალა მოძრაობას თვალს ადევნებდა.

ვანო-კი ამ დროს „ალბომს“ ჰფურცლავდა; ხან-და-ხან-კი თვალს ყმ[illegible] გადაავლებდა ხოლმე.

— ვანო, შენი შვილი რომელს სასწავლებელში სწავლობდა? — მიმართა მიხეილმა, რომელმაც ბოლთის ცემა შესწყვიტა და მეგობრის პირ-და-პირ დაჯდა.

— გიმნაზიაში.

— ახლა რას აპირებ?

— აქ მინდა მივაღებინო... თქვენ რომელს გიმნაზიაში სწავლობდით? მიუბრუნდა ვანო «კოლიას» ქართულად — ოჰ, უკაცრავად, სულ გარდამავიწყდა! — მიხეილ, არც ამათ ესმით ქართული?

— არა... უპასუხა მიკნავებულის ხმით სალარიძემ ამასთანავე სახე უცნაურად დაეპრანჭა, თითქოს რაღაც ტკივილი იგრძნოო.

— მომიტევეთ... წარმოსთქვა ღიმილით „კოლიამ“ რომელიც მიჰხვდა რომ მას ელაპარაკებოდნენ — ეგ ენა ჩემთვის თითქმის რომ უცხოა...

მოიღმა მიხაკოს ყრუ და მწარე სიცილი.

— რა გაცინებს, მამა?

— შენი პასუხი...

— რათა?..

— შენ თითონ უნდა მიხვდე...

— ძალიან მეძნელება...

— რა ვქნა, ნუ-თუ არ გესმის მამის მათრახი?! ჩაერია ლაპარაკში ქეთო — ირ იცი მამის სუსტი მხარე? ქართულის შესახებ გეუბნება... და ქეთომ სიყვარულით შეჰღიმა მშობელს.

— Ах да... а... а... გააბტყელა „კოლიამ“ ირონიით — მართლა რომ სუსტი მხარეა... წარმოიდგინეთ — მიუბრუნდა იგი ვანოს — მამაჩემს ეთაკილება რომ ჩვენ ქართული არ ვიცით.. ერთი მიბრძანეთ — რა არის აქ სათაკილო?..

— ისა, რომ შენ ჩემი შვილი ხარ და მე-კი ქართველი ვარ! ამის გამო, მე მგონია, შენ ვალდებული ხარ იცოდე ჩემი ენა, აგრეთვე შენიც!..

— ჯერ ერთი მამი, ვისი ბრალია‘ რომ მე ქართული არ ვიცი? მეორეც — ყოველი უნაყოფო და უმნიშვნელო ცოდნა — მეტი ბარგია კაცისათვის — უპასუხა ფილოსოფიურის დაბეჯითებით „კოლიამ“.

— როგორ-თუ უმნიშვნელო ცოდნა? გაიკვირვა ვანომ, მაშინ, როდესაც მამა გაფითრდა და მეტის აღელვებისაგან ველარა სთქვა-რა. — განა რომელისამე ენისცოდნა — მერე სამშობლო ენისა — უმნიშვნელოა!..

— ბოდიშს ვიხდი — ჭეშმარიტად მოგახსენებთ, რა-კი მაგრე დააყენეთ საკითხავი. — ქართულის ენის შესახებ ნუ-კი გეწყინებათ — ვამბობ, რომ უმნიშვნელოა! აბა, ერთი მიბრძანეთ — რა სარგებლობა უნდა შემძინოს მაგ ენამ? რომელ მეცნიერების შესწავლაში დამეხმარება იგი? რათ უნდა დავკარგო ის ძვირფასი დრო, რომელიც მაგ ენას დასჭირდება? ის არა სჯობიან — უფრო ხელ-საყრელად გამოვიყენო იგი? რაც შეეხება ვალდებულებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული ენის შესწავლას — მოვალეობად ვერ ჩავთვლი... მართალია, მამა ჩემი ქართველია, მაგრამ სამაგიეროდ დედა-ჩემი ხომ სხვა ერს ეკუთვნის.. ამ ორ ენის შორის მე ისევ იმას მივიჩნევ სამშობლო ენად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამზადეთ სახურავი მასალა, გარდა თუნუქისა და აწ-კი შეგვიჩერდა საქმე, რადგან აღარა გვაქვს შეძლება, რომ დავამთავროთ შენობა. რაც შეეხება კანკელს, ხატებს, საეკკლესიო წიგნებს, შესამოსელს და სხვა საეკკლესიო სამკაულს: ზარებს, შანდლებს და სხ. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ მხრივ დიდი ნაკლულევანება გვაქვს: არცა გვაქვს დახმარების იმედი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან' რადგან ჩვენი სამრევლო, ვითარცა დაფუძნებული სახაზინოს ხარჯით, არ ითვლება ხსენებულ საზოგადოების უწყებაში, ხოლო ხაზინისაგან შემწეობის თხოვნას (казенной субсидій) ვერა ვბედავთ, რადგან საკმაოა ჩვენთვის ის წყალობა, რაიცა უმაღლესად მოღებულ იქმნა ჩვენზედ კრებულის განწესებით სახელმწიფო ხარჯითა.

ამა მოხსენებულ გარემოებათა გამო, ჩვენ, ვითარცა დაჩაგრულნი და შემწყვდეულნი მაჰმადიანთა უმრავლეს რიცხვთა შორის, გაბედულობით მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით, რათა თქვენის გაზეთის შემწეობით გააცნოთ გულმტკივნეულ ქართველობასა ზემოხსენებული ჩვენი შევიწროვებული მდგომარეობა, რათა როგორმე ქველ-მოქმედთა შემწეობით დავამთავროთ დაწყებული კეთილი საქმე, ადრესი: Въ Ахалцихъ. Благочинному Протоіерею Д. Хахуташвили, для передачи Ацкурской церкви.

22 ივლისი 1895 წ. აწყური.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ამბობენ, რომ გზათა სამინისტროს უწყებაში ამ დღეებში მოხელეების ცვლილება მოხდებაო. (ნ. ვ.)

— ხმა არისო, რომ პირ-და-პირი გამგეობა ციმბირის რკინის გზის კამიტეტისა ჩაჰბარდება გზათა მინისტრს თ. მ. ი. ხილკოვსა. (ნ. ვ.)

— ამ წლის დამლევს სახელმწიფო საბჭოში გარჩეულ იქმნება კანონ-პროექტი ებრაელთა საზოგადო მდგომარეობის შესახებ იმპერიაში. (ნ. ვ.)

— ნოემბერს ხელ-ახლად დაიწყებს მოქმედებასა კომისია, საცა თავ-მჯდომარეობს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ა. ანტონოვიჩი, ამ კომისიას მინდობილი აქვს გადახილვა და შესწორება იმ წესდებისა, რომელსაც ეძახიან "уставъ о земскихъ повинностяхъ." (ნ. ვ.)

— ვორონეჟში მალე გამართულ იქმნება დედათა ფელშერის სკოლა. (ნ. ვ.)

— ჩვენ გვაუწყებენო, ამბობს ხაზეთი „ჩერ. ვეს." რომ ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ 18,000 მანეთი შემწეობა მიეცეს სამეურნეო სკოლას ქუთაისისასაო.

— იგივე გაზეთი ამბობს, რომ ჩვენ გვწერენ ოდესიდამაო, რომ აპირებენ სამკურნალო ფაკულტეტი დააარსონ იქაურ უნივერსიტეტშიო.

სამარის გუბერნიის თავად-აზნაურთ კრებაზედ განიზრახეს მიიღონ საშუალებანი დღევანდელს გაჭირვებულ მდგომარეობიდამ გამოსასვლელად, რისთვისაც დაადგინეს სთხოვონ მთავრობას იყიდოს მან ჯარისათვის ხორბლეულობა მემამულეთაგან არა ნაკლებ იმ ფასისა, როგორც თვით მწარმოებელს უღირს.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ამას წინად სომეხთა კათალიკოსმა დეპეშა გაუგზავნა რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში ბ. ნელიდოვს, რომლით ეკითხებოდა რა მდგომარეობაში არის სომეხთა სამწყსო ოსმალეთში და როგორ არის კონსტანტინოპოლის პატრიარქი—იზმირლიანიო. კათალიკოსს ამის პასუხად ელიდოვიდგან შემდეგი დეპეშა მოსვლია:

„პატრიარქი იზმირლიანი კარგად არის; საშიში არა მოელის-რა არც სომეხთა ეკლესიას, არც კონსტანტინოპოლის სომეხთ, რომელნიც საკმაოდ დამშვიდდნენ. რაც შეეხება პროვინციებს, იქ აქამდი ხდება სამწუხარო შეტაკებანი, რომელთა დამწყებნი, სამწუხაროდ, ისევ სომეხნი არიან. სომეხნი, წაქეზებულნი რევოლიუციონურ კომიტეტებისგან, თავს ესხმიან ოსმალთ და ამ რიგად იწვევენ საშინელს შურის ძიებას მაჰმადიანთა მხრით. სულთანმა დაამტკიცა სამ სახელმწიფოთაგან წარდგენილი რეფორმათა პროექტი: ახლა მთავრობა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მზადებას შეუდგა; საჭიროა, ერის მეთაურებმა დაამშვიდონ ხალხი, დაარწმუნონ ის, რომ რევოლიუციისა და უცხო სახელმწიფოთა შველის იმედი ტყუილი იმედი არის; ერის დამშვიდება საჭიროა საქმის გაუმჯობესებისათვის და რეფორმათა განხორციელებისათვის".

—

**გერმანია.** 8-ს ნოემბერს ქ. ნეიბრანდენბურგში დიდის ამბით აუგეს ძეგლი თ. ბისმარკს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ქორწინების რეპეტიცია. ნიუორკიდამ გაზ. „დაილ. ხრონ." ატყობინებს კორესპონდენტი, რომ აქ დუკმა მარლბოროომ და მისს კონსუელო ვანდერბილდმა, მათთან ერთად ვინც მონაწილეობას მიიღებს მათს ჯვარის წერაში, გამართეს წმინდა თომას ეკკლესიაში ჯვარის წერის რეპეტიცია. რეპეტიცია გამართეს იმ აზრით, რომ ყველამ თავთავიანთი ადგილი წინათვე იცოდნენ, შემდეგ, როცა ნამდვილი ჯვარის წერა იქნება, არ შეეშალოთ და ეფექტი არ დაუკარგონ ამით ცერემონიას. რეპეტეციის შემდეგ ყველანი სასძლოს სახლში წავიდნენ საჩუქრების დასათვალიერებლად.

როგორც სჩანს ამერიკაში ქორწინება სარწმუნოებრივი საიდუმლო-კი არა ყოფილა, არამედ თეატრალური წარმოდგენა.

ბევრმა არ იცის, რომ რომის პაპი ლევ XIII შახმატს გატაცებით თამაშობს. ეს ოცდა-ათი წელიწადია, რაც მის პარტნიორად ერთი პატერია. როდესაც ეხლანდელმა პაპმა კარდინალობა მიიღო, ეს პატერი ფლორენციიდამ გამოიწვია და მასაქეთ აქამომდე აღარ განშორებია. თამაშობის დროს პაპის პარტნერი ხშირად თავდავიწყებამდის მიდის ხოლმე, მოთმინებიდამ გამოდის და წინდაუხედავად იქცევა. იმისთანა შემთხვევებში პაპი თავს ანებებს თამაშობას და მერე მისცემს ხოლმე შენიშვნას. პაპი, როგორც ამბობენ, შახმატის ყოველ გამოჩენილ გაზეთს იწერსო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი: ნებითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონიისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა, და სხვათა, და სხვათა ვაუწყებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთა: სამსა ამა ნოემბრისას უსაყვარლესი მეუღლე ჩვენი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასული ბედნიერად განთავისუფლდა ძეობისაგან და ესვა ასული, რომელსაც ეწოდა ოლგა. ეგრეთი საიმპერატორო ოჯახისა ჩვენისა შემატება მივიღეთ ჩვენ ახალ მოწყალებად ღვთისად, რომელიც მოგვევლინა ჩვენ და იმპერიასა ჩვენსა, ვაუწყებთ ერთგულ ქვეშევრდომთა ჩვენთა ესრეთსა სამხიარულოსა ამბავსა და ერთად მათთან შევევედრებით უზენაესსა არსებასა მხურვალისა ლოცვითა, რათა კეთილ-ბედნიერად აღიზარდოს და წარემატოს ახლად შობილი. ვბრძანებთ იწერებოდეს და იწოდებოდეს სადაც ჯერ არს და ყოველ შემთხვევაში უსაყვარლესი ასული ჩვენი, დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული, მისს იმპერატორებით უმაღლესობად. ნაბოძებია ცარსკი სელოში, ნოემბრის 3-ს წელსა ქრისტეს აქეთ ათას-რვაას-ოთხმოც-და-თხუთმეტსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა მეორესა". ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისაგან ხელ-მოწერილია

ნიკოლოზი.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნ" იტყობინება, რომ სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს პროექტი გუბერნატორებისთვის, ვიცე-გუბერნატორებისთვის და მის თანაშემწეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

**ბერლინი.** პოტსდამს მივიდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. რკინის გზის სადგურზედ მას მიეგება იმპერატორი ვილჰელმი.

**ბუხარესტი.** რუმინიის სამხედრო გემებს ბრძანება მოუვიდათ—მზად იყვნენ წასვლისათვის.

---

რომელიც უფრო საჭიროა ცხოვრებაში, განვითარებულია და ძლიერი!.. ამას გარდა, განა ხანგრძლივია ქართული ენის სიცოცხლე? არა მგონია... ამის დასამტკიცებელი საბუთები ძალიან ბევრია; უმთავრესი-კი ის არის, რომ თვით განათლებული ახალგაზდობა, როგორც მოსწავლენი, აგრეთვე სწავლა-დამთავრებულნი—მაგრე რიგად არ ეტანებიან თავისს სამშობლო სიტყვიერებას...არც-კი იცის იგი... არამც თუ ენის ცოდნა, რომელიც რაც უნდა იყოს, რთული საგანია, თვით მოკლე ისტორიაც-კი არ იცის თავის ერისა ხეირიანად... განა მე ცოტა მყავს ასეთი ამხანაგები?!. ახლა მიბრძანეთ —ამაოდ დაკარგული არ იქნება ის დრო, რომელიც ქართულის შესწავლას უნდა მოვახმარო? მე ხომ ლინგვისტობას არ ვეძებ, რომ ყველა მცირე ენა შევისწავლო. მართლა... მამაჩემი რომ დამდგომია—რატო ქართული არ იციო—ბოდიშს მოვიხდი და ვკითხავ თითონ-კი იცის თავისი ენა ისე, როგორც ნამდვილი ცოდნა მოითხოვს?

— ჩემის მაგალითით არ უნდა იხელმძღვანელო!.. მე...მე..მე...—მიხეილს ენა დაება—რაც უნდა იყოს გულ-გრილობას ვერ დამწამებ ჩემის მამულისადმი...

— მერე ეგ საკმარისია?—განა კაცი რომ არ გულ-გრილობდეს სათაყვანებელ საგნისადმი—გმირობად უნდა ჩაითვალოს ეს... მაგრამ, ვგრძნობ რომ გასამტყუნარი არა ხარ... შენ თითონ კარგად ჰხედავ,—რომ ამაოა იქ ცდა, სადაც არაფერი მოხერხდება... ასევეა ქართულის შესახებ. არავითარი მეცადინეობა მას ვერ გამოაბრუნებს... ქართველების ცხოვრებაში არცა სჩანს ამგვარი ლტოლვილება!.. ყველა, თითქოს, როგორღაც ცდილობს ხელი შეუწყოს, მომიტევეთ—ამ ერის მიწიდგან აღგვას!..

— მე შენ გიკრძალავ ლაპარაკს მაგ საგნის შესახებ!—წამოიძახა გაჭირვებით აღელვებულმა მიხეილმა— შენ შეურაცხ-ყოფას აყენებ ჩვენსჩემსა და ჩემის მეგობრის—წმიდათა წმიდას!

— ღმერთმა დამიფაროს, მამი, მაგ უხეშ საქციელისაგან! მაგრამ არ შემიძლიან სიმართლე არა ვსთქვა, ის სიმართლე, რომელიც თან-და-თან ძალას მატანდა, რადგანაც არა ერთხელ გამიგონია შენგან ასეთი ყვედრება...—უპასუხა მორჩილებით შვილმა, მაგრამ ამასთანავე მტკიცეთ—აგერ დედა მოდის... გავჩუმდები, თორემ იმას არ ესიამოვნება ლაპარაკი ამ საგნის შესახებ!..

მართლა ოთახში შემოსრიალდა გაფაშფაშებული ელისაბედი, რომელიც შორიდანვე დააცქერდა ვანოს. ქეთომ დედას კარებთანვე რაღაც უთხრა და ორივენი სტუმრისაკენ გამოემართნენ.

ქეთომ ელისაბედი და ვანო ერთმანეთს გააცნო.

— რაზე გქონდათ კამათი, მიხეილ? შენი ხმა შემომესმა... გეტყობა შენთვის სასიამოვნოთ არ გათავებულა ეს ბაასი, დაღვრემილი ხარ... ალბად, დაუმარცხებიხართ... ჰკითხა ელისაბედმა ქმარს, როცა ყველანი დახსდნენ. სავარძელში უილაჯოთ გადასვენებულმა მიხაკომ რაღაც წაილუღლუღა და შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს მიმიკით ანიშნებს—ესა მტკივაო.

ელისაბედმა ქეთოს რაღაც წასჩურჩულა და იმანაც ღიმილით ორიოდე სიტყვა უთხრა ჩუმათვე.

ხა...ხა...ხა... გაიცინა გესლიანად ელისაბედმა—კიდევ ქართული! დაკისერის მოღერებით გადახედა ქმარს ნახევარ მილულის თვალებით, რომლებშიაც დაცინვის ნაპერწკალი ჰკრთოდა მართლა, კარგა ხანია ამის შესახებ აღარ გვიკამათნია!.. ვერ წარმოიდგენთ—მიუბრუნდა ელისაბედი ვანოს, ჩემ ქმარს ყველა კარგ თვისებებთან ერთი მეტად უფრო საქებური თვისება აქვს იგი აქ ცოტას ხანს შესდგა,პა...ტ...რ...ი...ო...ტ...ია!" გააპრტყელა ქალმა ეს სიტყვა და ამასთანავე თვალების მიჰუტით ტუი შესამჩნევად წინ გადმოატრიალა და ზევითას ამოაფარა, თითქოს ცუდს სუნსა ჰგრძნობს და ჰაერსა ჰსუნავსო.

— იქნება, თქვენც „პატრიოტი" ბძანდებით... დაუმატა დაშაქრულის ღიმილით ქალმა და კისერი დედოფლურად ვანოსაკენ მძიმედ მოატრიალა.

ამ კითხვამ ონორიძეს, რომელიც მართლა საჩოთირო მდგომარეობაში იყო, მთელის იქ მომხდარის ამბის გამო ეს ყოფა უარესად გაუძნელა. კარგად ესმოდა მნიშვნელობა ამ კითხვისა. რა ეთქვა, გულ-წრფელად ეღიარებინა თავისი გრძნობა იცოდა სამასხაროდ გაუხდიდნენ ამ წმიდათა-წმიდას უარი ეთქვა და მეგობარი უკან დახევას დააბრალებდა.

— მე მგონია ეგ გრძნობა ყველა ადამიანში ჰბუნაგობს და მეც იმ მომაკვდავთა წრეს ვეკუთვნი...

— მართლა?—გაიკვირვა ელისაბედმა და თავი უკან მიიზიდა თითქო შორიდან უნდა შეხედოს ამ უცნაური სიტყვების მთქმელსაო.

— წარმოიდგინეთ,რომ ეს გრძნობა ჩემთვის სულ უცნობია! მე არც-კი ვიცი, როგორია სამშობლოს სიყვარული, რაში გამოიხატება იგი? აი, მე ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ერი მეტად მიყვარდეს, ვიდრე საფრანგეთისა, ინგლისისა, ანუ სხვა რომელისამე... თითქმის არავითარს განსხვავებას ვერა ვხედავ ჩემს ლტოლვილებაში სამშობლოსა და სხვა ქვეყნისადმი, მაშინ, როდესაც თამამად შემიძლიან ვსთქვა—ჩემს სამშობლოს მეტად დიადი წარსული აქვს და ამ ჟამადაც უძლიერესია იგი!

— არც ჩვენ სამშობლოსა აქვს მცირე წარსული. მისი ისტორიაც მდიდარია ათასის თავგანწირვით რომლებშიაც მთელი ხალხი იღებდა ხოლმე მონაწილეობას — უპასუხა ქმარმა.

— თავ-განწირვა, თავ-განწირვა! წამოიძახა გაავზნებით ელისაბედმა— რას აგინიეებია ეგ თავ-განწირვა, რომელიც უბრალო ინსტიკტია თავისდაცვისა! აფრიკის ველური ხალხიც იბრძვის ხოლმე თავის დასაცველად, მერე განა შეუძლიანთ სთქვან—რომ ბრწყინვალე წარსული გვაქვსო?!.

ეს-კი მეტის-მეტი იყო... პირ-და-პირ შეურაცყოფილ იქმნა მთელი ეროვნება —ამ ერის წარმომადგენელთა წინაშე.იმ ზომამდე ძლიერად იმოქმედა ამ სიტყვებმა ორივე მეგობარზედ, რომ ვერა უპასუხეს-რა. მიხეილმა სათქმელად ვეღარ მოახერხა, რადგანაც ძლიერად იყო აღელვებული მიწასთან გასწორებული. იგი თითქოს დაპატარავებულიყო კიდეც და სავარძელში იმალებოდა, რომ არავას დაენახა სირცხვილეული, ამასთანავე შუბლიდგან ოფლის ხვითქი ნაკადულსავით გადმოსდიოდა.

ვანოს-კი ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, ბევრის საბუთით შეეძლო დაემტკიცებინა ამ ხალხისათვის მათი მტკნარი შეცდომილება, საშინელი ცილის წამება, მაგრამ ამასთანავე ჰგრძნობდა, რომ აქ ყოველი საბუთი ამაო იყო, არავინ მხედველობაში არ მიიღებდა, ახლოს არ მიიკარებდა როგორც კედელი ცერცვს და უხეშის, გესლიანის დაცინვით გაბათილდებოდა, ამის გამო მან ისევ გაჩუმება ამჯობინა, რომ საქმე მეტად არ გამწვავებულიყო. მთელმა აქ მომხდარმა ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება იქონია მაზე და სიბრალული აღუძრა მიხეილისადმი, რომელიც, როგორც ვანო უკვე მიჰხვდა, ჰგრძნობდა დანაშაულს და საშინლად ნჯიდა თავისს თავს. მხოლოდ საქმის გასწორებისა არავითარი იმედი აღარ იყო. ბრუდეთ აღმოცენილი შტოები—უკვე ახალგაზდა ხეებათ გადაქცეულიყვნენ და მათი გამოკეთება შეუძლებელი იყო. რა ეს გაითვალისწინა—ვანო ძალიან შესწუხდა და სავალალო ფიქრებს მიეცა.

ელისაბედი-კი თავისას გაიძახოდა და ცდილობდა—ყოველის სიტყვით

**კონსტანტინოპოლი.** ხაიშიდგან, (ტრაპეზუნდის ვილაიეტისა) იტყობინებიან, რომ იქ კვლავ მომხდარა შეტაკება ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის. გენერალი ალიდულახსადდედინი, სამი-ეფენდი, სასამართლოთა ორი მოხელე და ერთიც ადმინისტრაცის მოხელე გაიგზავნენ ანატოლიის რეფორმების მოსახდენად.

**სმირნა.** აქ მოვიდა გერმანიის სამხედრო გემი „მოლტკე“.

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულ შტატების ადმირალს სელფრიდს, რომელიც ახლა მარსელში არის, ბრძანება გაუგზავნეს, რომ ოსმალოთა ზღვაში წავიდეს.

5 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 4 ნოემბრის ბიულეტენი: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასული მთელი ღამე კარგად იყო. ახლად დაბადებული დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული ძლიერ ჯანმრთელად არის.—ლეიბ-აკუშერი კრასოვსკი. ლეიბ-აკუშერი ოტტი. ლეიბ-ხირუგი გირში.

ცარსკოე სელოს დიდს სასახლეში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი იმის გამო, რომ ხელმწიფე იმპერატრიცა მშვიდობით განთავისუფლდა ძეობიდან. პარაკლისს დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინები და დიდი მთავრები და სასახლის წარჩინებულნი. სამადლობელი პარაკლისი გარდახდილ იქმნა აგრეთვე პეტერბურგს და იმპერიის ყველა ქალაქებში.

სამხედრო მინისტრი აცხადებს: ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, პეტერბურგში დროებით ჩამოსულ ოფიცერთათვის აგებულ იქმნას შენობა, სადაც იქნება მოთავსებული საერთო კლუბი და სასტუმრო. ნაბრძანებია ამ საგნისთვის საჭირო თანხა ხაზინამ გამოიღოს. უმაღლესის ბრძანების აღსრულება მიენდო კომისიას დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის თავმჯდომარეობით.

**ბაქო.** სპარსეთის საზღვარზე შეტაკება მოხდა მოსაზღვრე დარაჯთა და სამასამდე სპარსელ ავაზაკთ შორის. მოკლულ იქმნა 30 ავაზაკი; დარაჯთა მხრით არავინ მოუკლავთ. სპარსელ ავაზაკთ განზრახვა ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში შემოსულიყვნენ, მაგრამ უკუ აქციეს.

**ბერლინი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე პეტერბურგს წავიდა.

**რომი.** „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, რომ ალექსანდრეტის ახლო, სირიაში ქრისტიანთა ამოჟლეტა მოხდა. ოსმალეთის 300 ჯარის კაცთ, რომელნიც მაშინ იქ იყვნენ, ქრისტიანთ შემწეობა არ აღმოუჩინეს.

6 ნოემბერი.

**პეტერბურგს.** 5 ნოემბრის ბიულეტენი: დედოფალს იმპერატრიცას ალექსანდრე თეოდორეს ასულს კარგად ეძინა მთელს ღამეს. საზოგადოდ კარგად ბრძანდება. მაჯა და ტემპერატურა ნორმალური აქვს. ახლად შეძენილიც ასული ხელმწიფისა სრულიად მშვიდობით ბრძანდება.

**იაროსლავი.** დაარსდა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს დაეხმაროს საპატიმროდგან გამოსულთა. ამას გარდა საზოგადოებას განზრახვა აქვს ისაშუალოს შრომის შესაყვარებელი სახლები ააგოს.

**ვენა.** „პოლიტიშე კორრესპონდენც“-ს სწერენ კონსტანტინეპოლიდგან: „დიპლომატთა წრეებში ის აზრი უპირატესობას პოულობს, რომ საჭიროა პორტას ვადა მიეცეს, რათა რეფორმები განახორციელოს და დაუცადონ იმას, თუ რამდენად დაამშვიდებს პროვინციას შეტანილი რეფორმები,

**კონსტანტინეპოლი.** ხასტენში შეტაკება მოხდა. 800 კაცი დაიღუპა. ათამდე შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ამერიკელ მისსიონერებს გაძარცვეს და დასწვეს. ხასტენის არემარეს შიმშილია. გურუნს სივასის ვილაიეტში 4000 სომეხს გარს შემორტყმული ჰყავს ქურთები, სივასში 500 სომეხია. ამტკიცებენ, რომ სტამბოლში 400 სოფტი დაატუსაღეს.

**ლონდონი.** „დაილი ქრონიკლი“ იუწყება, რომ პაპი თანხმაა პრინცმა ბორისმა ბერძენ-კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღოს და არა მართლ-მადიდებლობა.

---

დაემცირებინა ქმრის „პატრიოტული“ გრძნობა, რათა ერთი და ერთი სამუდამოდ მოესპო მასში ეს, მისათვის საზიზღარი, თვისება.

ქალ-ვაჟი, როგორც სჩანდა, თანაუგრძნობდა დედას, რადგანაც სიყვარულით ამეტყველებული თვალები მისკენ მიექციათ, მამა-კი აინუნში არ მოჰქონდათ, იქნება გარეკიწყდათ კიდეც.

გაწბილებული მეგობრები ყურს სრულიადაც აღარ უგდებდნენ ელისაბედის საბრალმდებლო ოქმს, ორივე ფიქრს გაეტაცა და თვითოეული მათგანი მიხვედრილი იყო—თუ მეორე რის შესახებ ფიქრობდა.

მართლაც მიხეილსაც და ვანოსაც ერთსა და იმავე დროს ის ღირს-შესანიშნავი დღე მოაგონდათ, როცა ისინი, ჯერ კიდევ ახალგაზდანი, ცოლის შერთვის შესახებ ჰმუსაიფობდნენ. ყოველი სიტყვა, რაც მაშინ ეთქვათ ცალკ-ცალკე სახებად წარმოუდგა მათ გონების თვალს და უარესად გაამწვავა მათი მწუხარება; დიაღ, მწუხარება, რადგანაც ყველაფერი შავის ძაძით იყო შემოსილი და მოღრუბლულს ცას გამოდარების ნიშანი—ის ტიალი ზოლი, რომელიც დარის მახლობლად შუა გააპობს ხოლმე ღრუბელს და ნათელს აუკეცავს—არა სჩანდა.

დაიღალნენ განმარტოვებულს ფიქრისაგან თუ უნდოდათ ერთურთისათვის ეცნობებინათ თავიანთი სულიერი მდგომარეობა—მეგობრებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და ამ დროს ვანომ მიხეილის თვალებიდგან სრული სასოწარკვეთილება ამოიკითხა, სამაგიეროდ მიხეილმა მეგობარს ნიშნის მოგება შეჰნიშნა თვალებში, რომელნიც თითქოს ამბობდნენ: „ხომ გეუბნებოდი“-ო?

ილ. ელეფთერიძე.

30 სექტემბერს, 1895 წ,

---

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სარკის შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზრიკასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრიკასევიჩი, 5—6: საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½, საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—46).

---

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

ცხოვრება

მეფე გიორგისა

აღწერილი

პლატონ იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი მანეთი.

---

ახალი გამოცემანი:

საოჯახო სამზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

აღა-მაჰმად-ხანის

შემოსევა ქ. ტფილისში.

თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება ამხანაგობის სკიოკში.

---

გამოვიდა დ ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებში

მამის ერთგული

მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.

ფასი 15 კ.

---

ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d' amour)

რომანი

პოლ ბურჟესი.

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი 70 კაპ.

ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს პირ-და პირ მთარგმნელისაგან, 20% დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбэ“. Гр. Кипшидзе.

---

**მიწა სახლებითურთ 20 ნაკვეთი.**

შენობები მოთავსებულია 25 და 50 ოთხ-კუთხს საჟენზედ. თექვსმეტი მათგანი იჯარით არის მიცემული. მეიჯარედრე მოთხოვნისათანავე თავს დაანებებს, ოთხი 25,120 და 800 საჟენზედ თავისუფალია. საზამთროს მოედნის ზევით. ფასი საჟენზედ 2, 3,4—7 მან. ფული შეუძლიან ნაწილ-ნაწილ გარდაიხადოს მსყიდველმა. ამავე მიწაში არის სამტვრევი ქვა და წყარო. ჰყიდის მემკვიდრე ივანე ივანოვი, ავჭალის ქუჩა, სახლი № 50.

(3—2).


---

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 9, 11 და 14 დეკემბერს ამა 1895 წლისას, დღისით 12 საათზე ქ ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისთვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატინისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 9, 11 და 14 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 28 დეკემბერს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე 16 §-ის თანახმად გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ტფილისის მამულების ვაჭრობა მოხდება 9 დეკემბრეს, სხვა ქალაქების მამულებისა 11-ს, სოფლის მამულებისა-კი 14 დეკემბერს.

ძველი კატეგორიისა.

ა) ქალაქის მამულები:

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობითი მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 1824 მ. 87 კ. შემოსატანი გარდასახადი 297 მ. 59 კ. და სულ 2122 მ. 46 კ.

ტერ-სააკოვი ტერ-ეღიშე ტერ-საакის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბაღი მიწა ზომით 1 დესეტინა, 638 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. გორში. თავნი ვალი 549 მ. 90 კ. შემოსატანი გარდასახადი 46 მ. 28 კ. და სულ 596 მ. 18 კ.

ტერ-შმოვანოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველ გვარ მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს მოლნინის და ბებუთოვის ქუჩაზედ № 21. თავნი ვალი 4918 მ. 84კ. შემოსატანი გარდასახადი 424 მ. 79 კ. და სულ 5343 მ. 63 კ.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელითა და მიწა-ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს. თავნი ვალი 727 მ. 50 კ. შემოსატანი გარდასახადი 136 მ. 75 კ. და სულ 864 მ. 25 კ.

ბ) სოფლის მამულები.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 291 დესეტინა, 840 ოთხ-კუთხი სა-